



## ქლიავის შრობა

შრობისათვის საუკეთესოა მსხვილნაყოფა ჯიშები, რომლებიც ხასიათდებიან წვნიანი, ხორცოვანი რბილობით, წვრილი კურკითა და მშრალი ნივთიერების მაღალი შემცველობით. ჩირის მიღების ტექნოლოგიური სქემა შემდეგია;

აწონვა	ინსპექცია დაყალიბება	რეცხვა	ბლანშირება 0,1%კაუსტიკური სოდის ხსნარით დამუშავება	კურკის ამოცლა	შრობა ჰელიოსისტემის დანადგარში
--------	----------------------	--------	--	---------------	--------------------------------

**ნედლეულის მიღება, აწონვა** - გადასამუშავებელი ნედლეულის პარტია არ უნდა შეიცავდეს დაჟეჟილ, მავნებლებით, დასენიანებულ და სხვა სახის დეფექტურ ნაყოფებს.

**ინსპექცია** - ნედლეულის გადარჩევა წვრილ და მსხვილ ნაყოფებად, რომელთა შემდგომი გადამუშავება ხდება ცალ-ცალკე.

**ნედლეულის დამუშავება** - ნედლეულის რეცხვა, ნაყოფების 0,1%კაუსტიკური სოდის ხსნარით დამუშავება 20-30 წმ-ის განმავლობაში, კურკის ამოცლა და სტელაჟებზე მოთავსება.

**შრობა** - შრობის პროცესი დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე საშრობის გამართული მუშაობისათვის საჭიროა გარე ჰაერის ტემპერატურა იყოს არანაკლებ 25 ° C საშრობის შიდა ტემპერატურა 35-50° C, შრობის ხანგრძლივობა 4-5 დღე. შრობა ხორციელდება ჰელიოსისტემის ტიპის საშრობში ZEFIRO-MAX-ით.

**გამოსავლიანობა** - 6-7 კგ. ქლიავიდან მიიღება 1 კილოგრამი ჩირი.

**შრობის ღირებულება** - ერთი კილოგრამი ქლიავის შრობის ღირებულება შეადგენს 0,59 ლარს.

**შრობის შედეგად მიღებული ჩირის მაჩვენებლები:**

**ორგანოლექტიკური:** მთლიანი ნაყოფების სახით

**ბიოქიმიური შემადგენლობა:** ტენიანობა 25%, შაქრების შემცველობა: 11%

**საწარმოს მისამართი** - ქობულეთის მუნიციპალიტეტი სოფ: გვარა ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ს ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობა.

**შენიშვნა:** დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მიიღოთ შემდეგი პირისგან ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ს კოსულტანტი ინგა გაფრინდაშვილი ტელ: 599 29-36-16.